საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 188
თარიღი: 21 09 2015 წ.

№ 04/1972-15

"16" 09 2015 წ

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციას"

ბატონო პაატა,

ა.წ 11 სექტემბრის წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შპს „ტელეიმედის" ხელმძღვანელობასთან ტელევიზიაში განვითარებული მოვლენების თობაზე ზეპირი კომუნიკაცია 2015 წლის 31 აგვისტოს ჰქონდა. ორი დღის შემდეგ კომისიაში შემოვიდა შპს „ტელეიმედის" წერილი (რეგისტარციის ნომერი შ-6/6426-15), რომლითაც ტელეკომპანია ითხოვდა განმარტებას: "გთხოვთ, გვიპასუხოთ, ზემოთ ხსენებული პროგრამების რეორგანიზაცია-გარდაქმნის პროცესში, რა დროით არის შესაძლებელი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების ეთერში განთავსების შეჩერება, რათა მაუწყებლის მიერ უზრუნველყოფილი იქნას სალიცენზიო ვალდებულებების შესრულება."

შპს „ტელეიმედს" 2015 წლის 4 სექტემბერს გაეგზავნა წერილობითი განმარტება (რეგისტარციის ნომერი 04/1876-15), რომელსაც ისევე, როგორც შპს „ტელეიმედის" წერილს თანდართულ დოკუმენტებად გიგზავნით. შპს „ტელეიმდის" პასუხი კომისიის 2015 წლის 4 სექტემბრის წერილზე ჯერ არ მიგვიღია.

კომისიას შპს „ტელეიმედისთვის" გაგზავნილ წერილში არხზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების აღდგენისთვის არ განუსაზღვრავს კონკრეტული ვადა. თუმცა გათვალისწინებით იმისა, რომ პროგრამის რეორგანიზაცია-გარდაქმნის პროცესში შესაძლოა საჭირო გახდეს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსის მოძიება, კომისია ვარაუდობს, რომ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად გონივრული ვადა დაახლოებით ორი თვეა.

დანართი: ორი ფურცელი.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე, ვახტანგ აბაშიძე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

№ 04/1870-15 "04" 09 2015 წ.

ჩავიბარე 04.09.15
ე. [illegible]

შპს „ტელეიმედს"

გაცნობებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ განიხილა თქვენი 2015 წლის 01 სექტემბრის განცხადება (კომისიაში რეგისტრაციის N შ–6/6426–15; 02.09.2015) შპს „ტელეიმედის" სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამების განთავსების დროებით შეჩერების თაობაზე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჯ) ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო მაუწყებლობა არის არანაკლებ 2 თემატიკის, მათ შორის, ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამებით მაუწყებლობა.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „ტელეიმედის" (ავტორიზაციის #BR264 – 17.07.2015) მაუწყებლობის ქვესახეობა საერთო ტელემაუწყებლობაა, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შპს „ტელეიმედის" ყოველკვირეულ სამაუწყებლო ბადეში ახალი ამბების პროგრამის გარდა, განთავსებული უნდა იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის სულ ცოტა ერთი პროგრამა მაინც, იმისათვის რომ დაცული იყოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მაუწყებლის საავტორიზაციო ვალდებულებები. ამასთანავე შეგახსენებთ, რომ შპს „ტელეიმედის" მიერ კომისიაში წარმოდგენილი სამაუწყებლო კონცეფციის თანახმად, კომპანიის სამაუწყებლო ბადეში გათვალისწინებულია პოლიტიკური თოქ–შოუს და საზოგადოებრივ–ანალიტიკური გადაცემის განთავსება.

რაც შეეხება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე და „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 55-ე მუხლებით გათვალისწინებული წინასაარჩევნო პერიოდში დებატების სამაუწყებლო ბადეში განთავსების ვალდებულებას, განვმარტავთ, რომ აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ

ათავისუფლებს მაუწყებელს არასაარჩევნო პერიოდში სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამების განთავსებისაგან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მოგმართავთ გონივრულ ვადაში უზრუნველყოთ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე